ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზაალ მამალაძეს

მუნიციპლიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ნორმატიული აქტის პროექტის მომზადება განპირობებულია არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის ცალკე სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბებასთან, რამაც ბუნებრივია გამოიწვია რიგი ცვლილებები გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულებაში.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის გამგებელი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გია გიორგაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებლი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტის თაობაზე

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებაა გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება.

აღნიშნული დადგენილების მიღება იწვევს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ნოემბრის N50 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი
სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში : *ნინო ვაჩეიშვილი*